

ქალთა ცხოვრების რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების (IV-XI სს)
საქართველოში

თინათინ ნერგაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების (ენა, ლიტერატურა, ისტორია,
ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია) მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების
ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

აბსტრაქტი

ამ კვლევის ობიექტია ქალი შუა საუკუნეების (IV-XI) საქართველოში. V-XI საუკუნეების ისტორიულ-ნარატიული წყაროებისა და სამართლებრივი ძეგლების შესწავლის საფუძველზე, ვცდილობთ იმ პერიოდის საქართველოში მცხოვრები ქალის ყოფის რეპრეზენტაციას.

შუა საუკუნეებში სქესთა შორის მამაკაცის უპირატესობა კვლევის გარეშეც ცხადია. ჩვენ ამ ნაშრომით გვსურდა, იმ პერიოდის მასკულინური ყოფის ფონზე, ქალის ფუნქცია-მოვალეობების გამოკვეთა და წარმოჩენა.

ნაშრომში საუბარია ქალის ქონებრივ მდგომარეობასა და მემკვიდრეობის უფლებაზე. საკუთრების ფლობისა და განკარგვის შესაძლებლობებზე. განხილულია ქალის სწავლა-განათლების საკითხი. გამოკვლეულია, გოგონების განათლების მიღების უფლებები და ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობები. შედარებულია ქალებისა და კაცების განათლების მიღების შესაძლებლობები ერთმანეთს.

განხილულია დაუოჯახებელი ქალის სქესობრივი ცხოვრების შემზღუდველი საზოგადოებრივი ნორმები. ნაჩვენებია საზოგადოებრივი მორალის ასახვა სამართლებრივ სფეროში. მიმოხილულია ქალების მიერ „წესების“ დარღვევის შემთხვევები და ამით გამოწვეული მორალურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობები.

საუბარია ქალის როლსა და ფუნქციებზე ოჯახში. აღწერილია ქორწინება, როგორც რიტუალი. ნაჩვენებია ქორწინების მოტივები და ამკრძალავი ფაქტორები. აგრეთვე, ქალის უფლებამოსილება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საუბარია ცოლ-ქმრის საერთო ქონებაზე. გაანალიზებულია ამ ქონების განკარგვის უფლებები. გამოკვლეულია საქართველოში მზითვისა და ურვადის არსებობა - არ

არსებობის საკითხი. ნაჩვენებია განქორწინების შემდგომ ქონების გაყოფის გზები და სამართლებრივი უფლება-მოვალეობები.

საუბარია ქორწინებაში მყოფი პირის სქესობრივ დანაშაულზე, ნაჩვენებია ამ დანაშაულში ბრალდებული ცოლების დასჯის ფორმები.

განხილულია ცოლის მოტაცება-წაგვრის ტრადიცია და განქორწინების საკითხი. წარმოდგენილია განქორწინებისთვის საჭირო მოტივები.

ნაშრომში ასახულია ქალის ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მიმართულებით კი, განხილულია ქალთა სამონასტრო ცხოვრება და მონაზონთა წვლილი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქალი შუა საუკუნეების საქართველოში, ქალის ქონებრივი მდგომარეობა, ქალის სწავლა-განათლების საკითხი შუა საუკუნეების საქართველოში, ქალის სქესობრივი ცხოვრება შუა საუკუნეების საქართველოში, ქალის ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში შუა საუკუნეების საქართველოში, შუა საუკუნეების საქართველოში ქალის როლი ოჯახში, ქორწინება და განქორწინება შუა საუკუნეების საქართველოში.